პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ოქტომბერი პარასკევი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 239 (16060)

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ აზერბაიჯანის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამუშავებელი ორგანიზაციების მუშაკებს, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობისა და ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა საწარმოების მუშაკებს დიდ შრომითს გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის ხამი ბამბის, ყურძნის, ბოსტნეულის, ბაღეულისა და ჩაის ფოთლის მიყიდვის 1974 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. ეს პროდუქცია სახელმწიფოს მიეყიდა გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან. ეს მიღწევა დიდმნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

მოპოვებული წარმატებანი აზერბაიჯანის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების კარგი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, სოფლის მეურნეობის მუშაკების, ყველა მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში, პირნათლად შეასრულებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

იდეოლოგიური კადრების გონებრივი ჰორიზონტი

ბევნმა პარტიან იდეოლოგიური კადრების მრავალრიცხოვანი არმია გამოზარდა. მილიონობით პროპაგანდისტი და აგიტატორი, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები მასებს აცნობენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, განუმარტავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

დიდი და სასპატიო მათი როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ამოცანათა შესასრულებლად მასების დარაზმვაში. რევოლუციური მოძღვრებისა და ლენინური პარტიის პოლიტიკის პროგანდისტად ყოფნა პასუხსაგები საქმეა, რომელიც მოითხოვს ღრმა იდეურ რწმენას, მაღალ თეორიულ და მეთოდიკურ მომზადებას, მუდმივ მუშაობას საკუთარ თავზე. აღნიშნა რა, თუ რა მნიშვნელოვანია აქცენ მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთ შესწავლას, რომელიც ადამიანებს დაეხმარება დამოუკიდებლად იაზროვნონ, გადაჭრან საჭირბოროტო პრობლემები, დაინახონ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებები და პერსპექტივები, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ „ეს უწინარეს ყოვლისა დამოიდებულია იმაზე, თუ თვითონ მასწავლებლები, პროპაგანდისტები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგები, იდეოლოგიური კადრები როგორ არიან დაუფლებულნი რევოლუციურ თეორიას“.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი, იდეური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე ახალ მაღალ მოთხოვნებს უყენებს იდეოლოგიურ მუშაკებს. ეს მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, კონკრეტულად გამოიხატა და შემდგომ განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისთვის მუშაობის შესახებ“.

მთავარია ამ კადრებს ვასწავლოთ, რომ საზოგადოებრივი მოვლენები შეიფასონ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან, პრაქტიკულად დაიცვან საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, თანმიმდევრულად, დასაბუთებულად ამხილონ ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგია. ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ პარტიის ხაზინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პრობლემებში. პოლიტიკური განათლებისა და დარწმუნების ლენინური ხელოვნება გულისხმობს უნარს დამაჯერებლად აწარმოონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, გასაგებად, ოპერატიულად გააცნონ საბჭოთა ადამიანებს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ამბები, უფრო სრულად გაითვალისწინონ მათი სულიერი მოთხოვნილებანი.

თუ კიდევ უფრო არ ავამაღლეთ პროპაგანდისტთა იდეური შეიარაღება, არ გავაფართოვეთ მათი გონებრივი ჰორიზონტი, ვერ დაეუფლებიან თანამედროვე სინამდვილის ფაქტებს, მოვლენებს, პროცესებს ანალიზისა და შეფასების მარქსისტულ-ლენინურ მეთოდებს, პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ იდეური კადრების თეორიული და პროფესიული სწავლების სრულყოფისათვის. ასეთი მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს მაგალითად, ლენინგრადში, სადაც ბევრი რამ კეთდება პროპაგანდისტთა თეორიული დონისა და მეთოდიკური ოსტატობის ამაღლებისათვის, მათი ცოდნის, კერძოდ, ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დარგში ცოდნის გამდიდრებისათვის. ამას ხელს უწყობენ საკურსო მომზადება, სემინარების აქტიური ფორმების დანერგვა, რეგულარული თეორიული და სამეცნიერო-მეთოდიკური კონფერენციები. ყველგან უნდა შეიქმნათ ხელშემწყობი პირობები, რათა იდეოლოგიურმა მუშაკებმა ღრმად შეისწავლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის პრობლემები, პარტიული პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები.

პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კიდევ უფრო გააუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სკოლის კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადება, იდეურ-ზნეობრივი აღზრდა. ყველა მასწავლებელს როდი აქვს საკმარისი თეორიული მომზადება, და ეს გავლენას ახდენს ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის ხარისხზე. როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და სარატოვის უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონის ამაღლებისათვის მუშაობის შესახებ, ზოგჯერ ლექციებში ზერელედ აშუქებენ თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს, ხოლო სემინარულ მეცადინეობაზე ბევრი მასწავლებელი ვერ ქმნის კოლექტიური შემოქმედებითი მსჯელობის ვითარებას. უნდა ავამაღლოთ სახალხო განათლების ორგანოების პასუხისმგებლობა პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მეტი უურადღება დავუთმოთ მათს იდეურ წრთობას, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის სწავლების მაღალ დონეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა თანამედროვე განვითარების გათვალისწინებით.

პარტიული პროპაგანდა ვერ იტანს აზრის მოდუნებას. რაც უნდა მდიდარი იყოს ამა თუ იმ მუშაკის ცოდნის მარაგი და რაც უნდა ფართო იყოს მისი პოლიტიკური ჰორიზონტი, იგი არ შეიძლება დასჯერდეს ამას, არ შეიძლება ერთ ადგილს ტკეპნიდეს. მტკიცედ უნდა ვუნერგავდეთ იდეოლოგიურ კადრებს მოთხოვნილებას, რომ ყოველდღიურად დამოუკიდებლად მუშაობდნენ თავიანთი თეორიული და პროფესიული დონის ამაღლებისათვის, განუწყვეტლივ მიმართავდნენ პირველწყაროებს — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს, სწორად ახლი მოთხოვნილება ახასიათებს, მოწინავე პროპაგანდისტებს, რომელთა შორის ბევრმა მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ქარხანასა და ივანოვოს კამვოლის კომბინატში მომუშავე თავიანთი კოლეგების მაგალითით შეადგინა პირადი შემოქმედებითი გეგმები, რომლებიც შეიცავენ სისტემატურ ინდივიდუალურ სწავლებას. დამოუკიდებელ მუშაობაში იდეოლოგიურ კადრებს აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები. დიდი და მრავალმხრივი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ მათ ისეთმა ჟურნალებმა, როგორიცაა „კომუნისტი“, „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე“.

პროპაგანდისტები და აგიტატორები, მასწავლებლები, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის ველოვანენი, რომლებიც დღენიადაგ იფართოებენ გონებრივ ჰორიზონტს, პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით წარმატებით უზრუნველყოფენ იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას. ისინი აღწევენ მშრომელთა შეგნებულობის, საგანმანათლებლო და კულტურული დონის, მათი კვალიფიკაციის, საქმიანობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებას. მხოლოდ წარმოების საჭირბოროტო პრობლემათა კარგი გაგებისა და თეორიული ცოდნის შეხამება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მჭიდროდ დავუკავშიროთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა პრაქტიკას, დღის კონკრეტულ საზრუნავს. აი რატომ არის ეხოდენ საჭირო, რომ პროპაგანდისტები მუდამ იყონ შრომითი კოლექტივების, ქალაქების, რაიონების, ოლქების საწარმოო საქმეების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კურსში.

ჩვენი იდეოლოგიური კადრების ძალაა იდეური სიმწიფე და თეორიული აღტკურვილობა, უსაზღვრო ერთგულება პარტიის საქმისადმი. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმისადმი, რომელსაც ისინი მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებასა და ოსტატობას ეხმარენ.

ПРАВДА 10 ოქტომბრის ეროწინავე

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიშინიოვში გაემგზავრა

მოლდავეთის სს რესპუბლიკისა და მოლდავეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის 10 ოქტომბერს კიშინიოვში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ა. ა. გრეჩკომ, ა. ა. გრომიკომ, თ. დ. კულაკოვმა, ა. ი. პელშემ, ა. ნ. შელეპინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა გ. ს. პავლოვმა, კ. ვ. რუსაკოვმა, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა ა. მ. ალექსანდროვმა, კ. მ. ბოგოლიუბოვმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად კიშინიოვში გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიკოვი.

(საკ.დეს).

გულითადი შეხვედრები კიშინიოვში

10 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიშინიოვში ჩავიდა.

აეროპორტში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად შეხვდნენ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბოდიული, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. თ. ილიაშენკო, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ა. პასკარი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, მოლდავეთის სსრ მინისტრები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აგრეთვე დახვდნენ მოლდავეთის სსრ და მოლდავეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გრიშკევიჩუსი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ვოსი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რასულოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ქოჩინიანი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. გაპუროვი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. კებინი, სსრკ-ის საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფ. მ. ტიაეულნიკოვი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ბ. ნიაზბეკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ვ. თ. ტოლუბკო.

დამხვდურთა შორის იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პლოვდივის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დრაგა ვილჩევი.

ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა ქალიშვილებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს თაიგულები მიართვეს.

მანქანების კორტეჟი ქალაქისაკენ მიემართება. ახალი მიკრორაიონის — ბოტანიკის შესასვლელთან ხანმოკლედ შეჩერდნენ. მანქანას, რომელშიც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი იჯდა, მიუახლოვდნენ სოციალისტური შრომის გმირი ე. თ. სტრუეფეკი — ორგანეის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 50 წლისთვის“ თერმის ბამბა, სოციალისტური შრომის გმირი გ. ა. სელეზნიკი — „ბრეჟნევშენის“ ტრაქტორ მშენებელთა კოლექტივის ბრიგადირი და ა. ვ. ალოვი — მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ხალხური ჩვიულებისამებრ ძვირფას სტუმარს პურ-მარილი მიართვეს.

კიშინიოვის საზეიმოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზე მოლდავეთის დედაქალაქის მრავალი ათობით ათასი მცხოვრები გულთბილად მიესალმებოდა ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

მოლდავეთის სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. მის ექსპონატებში აისახა რესპუბლიკის მშრომელთა უდიდესი წარმატებანი განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე. გამოფენის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში 10 ოქტომბერს საფეხურები ჩაეყარა მწვანე ხეივანს მოლდავეთის სსრ და მოლდავეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ალსანიშნავად. აქ მეგობრობის ხეივნის გაჩენების ცერემონიაზე მოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მასთან ერთად იჯდნენ მოლდავეთის სსრ ხელმძღვანელები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ზეიმზე ჩამოსული სპეციალური სტუმრები.

შეარჩიეთა ტაბის გრილში ხეივანში პირველი ხე დარგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

სამახსოვრო ხეები დარგეს ალრეთვე ამხანაგებმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, პ. მ. მაშეროვმა, შ. რ. რაშიდოვმა, გ. ვ. რომანოვმა, მ. ს. სოლომენცევმა. სხვა სტუმრებმა.

პარტიის კიშინიოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კანიოფსკიმ ლეონიდ ილიას-ძეს გადასცა წარმარ პირველი შედალი „ქალაქ კიშინიოვის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის“. ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მოლდავეთის ოლოქალაქის საპატიო სტუმრთა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი დატოვა. (საკ.დეს).

10 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიშინიოვში ჩავიდა. ხურათზე: აეროპორტში შეხვედრის დროს.

საკ.დეს.ის ფოტოქრონიკა (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

მშვიდობის საქმეში დიდი წვლილისათვის

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დროშაზე აიიაფდა ხალხთა მეგობრობის ორდენი

10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა კონფედერაციაზე ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცეს, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს. ეს მაღალი ჯილდო კომიტეტს მიენიჭა მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო მოძრაობაში ნაყოფიერი საქმიანობისათვის, აგრეთვე მის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბა ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ბანაზე მეტი დელეგატი — ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, მინისტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ჯილდოს გადაიკიდან დაისწრენ მრავალრიცხოვანი სტუმრები, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენლები.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, რომელსაც ენა ასდა:

არ შეიძლება შეფასებულ იქნეს, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებებისა და დაძაბულობის შენელების მიუხედავად, იდიან ატომურ იარაღს, რომელიც წამლავს დედამიწის ატმოსფეროს, ქმნიან ყველა სახეობის სულ უფრო მეტ შეიარაღებას; აშიკომ განსაკუთრებული ძალით ჯაისმის მოწოდება, რომ დაძაბულობის შენელება დაეშატოს დაძაბულობის სამხედრო დარგში. ფართოდ უნდა გავშალოთ ბრძოლა ომის მატერიალური მომზადების წინააღმდეგ, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი: „თუ ჯსურს მშვიდობა. — განაცხადეთ ეროვნული მშვიდობის პოლიტიკა, ინტერესი ამ პოლიტიკისათვის! ეს იყო, არის და იქნება ჩვენი სოციალისტური საგარეო პოლიტიკის დევიზი!“. ეს შესანიშნავი მოწოდება აღადგინოვანებს ყველა საბჭოთა ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს, რომელსაც ესმით, რომ მათს აქტივობაზე, მიზანდასახულ მოქმედებაზე დამოკიდებულია კაცობრიობის ხვალინდელი დღე.

ბ. ნ. პონომარიოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ხალხთა მეგობრობის ორდენი მიაბნია საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დროშას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. ტიხონოვმა.

დღევანდელი დღე საბჭოთა კავშირის მშვიდობისათვის მოძრაობის მატიანეში შევა როგორც დიდი და დაუვიწყარი დღესასწაული, თქვა მან. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მშვიდობის მომხრეთა ერთიანობისადმი პატრიოტული საქმიანობის მაღალ შეფასებად. ჩვენს მოვალეობად უწინარეს ყოვლისა მიგვაჩნია ის, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის ისტორიული პროგრამის განსორციელებისათვის.

ნ. ს. ტიხონოვმა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვა, რომ საბჭოთა მშვიდობის მომხრენი ყოველთვის ერთგულნი იქნებიან ლენინური ინიციატივებისა და ბრძოლისა. (საკ.დეს).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობის საკითხი.

აღინიშნა, რომ „მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის უკრაინის სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 12 მარტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილების შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ახორციელებენ მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების, ნიადაგის ეროზიისთან ბრძოლისა და მიწათმოქმედების გაძღოლის პროგრესული მეთოდების დანერგვის, თესლბრუნვის უფრო სრული ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყამირი და ნასვენი მიწების მოქცევის საჭირო ღონისძიებებს. მიმდინარე წელს ზესტაფონის, სამტრედიის, კასპის, ხობის, მეხტის, ბორჯომის, ლანჩხუთის, მცხეთის, ახალქალაქების და სხვა რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებზე დაისახა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის, ბუნების დაცვისა და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობა.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში რვა ათას ჰექტარზე, აგრეთვე ხევების, მდინარეთა ნაპირებისა და სხვა ეროზიული ფართობების 18,5 ათას ჰექტარზე გაშენდა მინდორსაცავი ტყის ნარგავები. მწყობრში ჩადგნენ ახალი სარწყავი არხები, სატუმბი სადგურები, შენდება წყალსაცავები.

გაუმჯობესდა ნასვენი მიწების ათვისება. მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის ათვისებულია 2.075 ჰექტარი ნასვენი მიწები.

მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები დიდ ყურადღებას უთმობენ კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა ორგანიზაციას.

ახლა უფრო ზუსტად იცავენ მიწათსარგებლობის წესებსა და საკარმიდამო ნაკვეთების ნორმებს. 1973-1974 წლებში თეთრი წყაროს, ლანჩხუთისა და საშურის რაიონების კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ჩამოერთვათ 24.861 ჰექტარი ზედმეტი ფართობი.

სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭომ რესპუბლიკის ყველა სასოფლო საბჭოს მოუწოდა ფართოდ გაშალონ ბრძოლა მიწების ათვისებისა და რაციონალური გამოყენებისათვის. აქ გადაწყვეტილია მიმდინარე წელს 40 ჰექტარით გააფართოონ კოლმეურნეობის სახნავი მიწების ფონდი.

ამასთანავე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის არის სერიოზული დარღვევანი და ნაკლოვანებანი.

ბევრ მეურნეობაში ნელი ტემპით ხორციელდება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, ნიადაგის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვის ღონისძიებანი, სასუქების შეტანისა და მიწების ქიმიური მელიორაციის საშუალებები. ყოველთვის ეფექტიანად როდი იყენებენ სარწყავ და ურწყავ მიწებს. არის ფაქტები, როცა არ ასრულებენ სახნავი მიწების ათვისების გეგმას და ამცირებენ ნათესების ფართობებს. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მთლიანად არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მათ შორის სახნავ და სახნავად გამოსადეგ მიწებს.

რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ორგანიზაციებს და უწყებებს, რომლებიც კარიერებისა და სხვა საჭიროებებისათვის იყენებდნენ ნაყოფიერ მიწებს, არ ახორციელებენ მათი აღდგენისა და სოფლის მეურნეობის 1973 წლის დავალება, ათვისებულია მხოლოდ 6,5 ათასი ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი ჰექტარის ნაცვლად. ჩამორჩებიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ლაგოდეხის, წყალტუბოს, ხობის, დმანისის, ამბროლაურის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობანი.

ბევრი მეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს ტყის გაშენების, ეროზიის საწინააღმდეგო კიდრონაგებობების მშენებლობის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის, ნიადაგის რეკულტივაციის დავალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები, ორგანიზაციები და უწყებები, რომლებიც კარიერებისა და სხვა საჭიროებებისათვის იყენებდნენ ნაყოფიერ მიწებს, არ ახორციელებენ მათი აღდგენისა და სოფლის მეურნეობის სამსახურისათვის გადაცემის ღონისძიებებს (საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროები, „საქთვალსრეწვი“, „საქსოფლტექნიკა“ და „ცეკავშირი“).

ირღვევა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწისთან გამოიყენონ მხოლოდ გამოუსადეგარი და ნაკლებად გამოსადეგი მიწები. მაგალითად, 1972-1973 წლებში არასასოფლო სამეურნეო საჭიროებებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების ფონდებიდან გამოიყო 5.547 ჰექტარი ფართობი.

სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა აგრეთვე საკარმიდამო მიწათსარგებლობაში. არის ფაქტები, როცა ინდივიდუალური გამოყენებისათვის მიწა გამოეყოთ პირებს, რომლებიც

(დასასრული მე-3 გვ.).

ეკონომიკა

საქართველოს

საბჭოთა ქართველების ხალხური რესპუბლიკა

სრულუფლებიანი ელჩი ქმხანაგ ზენონ ნოვაკის ოფიციალური ვიზიტი

1974

შესრულების შემოწმების წელი

□ პირველი პროდუქცია მომავალი წლის იანვრიდან □ მაღნეული — ფერადი მეტალურგიის მომავალი ქალაქი. სამთო გამამდიდრებელი კომბინატი — ხუთწლედის მნიშვნელოვანი ობიექტი □ აშენდება სპილენძის ფხვნილისა და სილიკატური აგურის ქარხნები □ გაზიდულია 130 მილიონი კუბმეტრი ფუთი ქანი □ ზღვის დონიდან 1158 მეტრზე □ მუშენებლობაზე წელს ათვისებულია 8.046.000 მანეთი □ 40 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი □ მეორე რიგი 1975 წლისათვის.

კაზრეთის ჩირაღდნები

სამთო გამამდიდრებელი კომბინატი ამუშავების წინ

აშენდეს მაღნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი. ეს სიტყვები ჩაწერილია სკკ XXIV ყრილობის ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში. ამას კი წინ უძღოდა მრავალი წლის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. თრმოცდაათი ან წლებში ბოლნისის მახლობლად, სოფელ კაზრეთში, ანუ მეორენაირად მაღნეულში, გეოლოგებმა აღმოაჩინეს წვიალისეული სპადოები, რომლებიც შეიცავენ მეტად სასარგებლო კომპონენტებს: სპილენძს, ბარიტს, ტყვიას, თუთიას, პირიტს.

გადაწყდა აშენდეს სამთო გამამდიდრებელი კომბინატი, რომელიც გადაამუშავებს აქ დასახლებულ წიაღისეულ სიმდიდრეებს, პირველ რიგში ეს სპილენძს და მეიორებს ამავე სახელწოდების კონცენტრატს. ამის შემდეგ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით აქვე უნდა აშენდეს ქარხანა, რომელიც მაღნეულის კონცენტრატისაგან მიიღებს სპილენძის ფხვნილს.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ფერადი მეტალურგიის მომავალ ქალაქზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახლო მომავალში აქ გაშენდება თანამედროვე ტიპის ქალაქი, რომლის მოსახლეობა 30-35 ათასი კაცი იქნება.

დღესაც საკმაოდ იპყრობს ყურადღებას მომავალი ქალაქი. აქ უკვე აგებულია მრავალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი, ქუჩრი მოასფალტებულია, გაკეთებულია დღის განათება, აქაური ბავშვების სამსახურშია სკოლები, საბავშვო ბაღი და ბაგა, პროფტექნიკური სასწავლებელი, კლუბი, საფოსტო განყოფილება.

რა მდგომარეობაა დღეისათვის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაზე? მეცხრე ხუთწლიანის დირექტივებით აღნიშნული საწარმო მომავალი წლის ბოლოსათვის უნდა გადაეკმეიოყო საექსპლოატაციოდ. მშენებელ-მონტაჟიორებმა კი ვალდებულება იკისრეს ფაბრიკის პირველი რიგი წელს გადასცნენ საექსპლოატაციოდ. 7 ნოემბრისათვის მშენებელ-მონტაჟიორებმა ფრონტი ვთლიანად უნდა დაუთმონ გამწყობებს იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის იანვრიდან ფაბრიკამ პირველი პროდუქცია — სპილენძის კონცენტრატი გამოუშვას.

ამოცანა მეტად სერიოზულია და მოითხოვს მშენებელ-მონტაჟიორთა დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას. ახლა საამშენებლო ორგანიზაციის ხშირი სტუმრები არიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მმართველი ო. კიკნაძე, რადგანაც სწორედ ეს ორგანიზაცია აშენებს ფაბრიკას ძირითადად. საქმონტაჟსპეცმშენის მთავარი სამმართველოს უფროსი შ. ბუხრაშვილი, როგორც სამონტაჟო სამუშაოების ძირითადი მწარმოებელი, საქელექტრომონტაჟის სამმართველოს უფროსი ჯ. ცინდაშვილი, რომელსაც დაკალებული აქვს ელექტროინერგიით უზრუნველყოფის მეტად რთული და საპატიო საქმე; რუსთავის სარემონტო მექანიკური ქარხნის დირექტორი ა. შონია, რომელიც მშენებლობის ამპარაგებს სხვადასხვა კონსტრუქციებით, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. მანჯგალაძე, როგორც მშენებლობის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი.

9 თვეში მშენებელ-მემონტაჟიორმა აითვისა 8 მილიონ მანეთზე მეტი თანხა, რაც ორჯერ აღემატება წინა ორ წელიწადში შესრულებულ სამუშაოებს, რისთვისაც ძმები ლინსა № 7 ტრესტის კოლეტივი. მაგრამ ამას ვერ ეიტყვით რუსთავის სახლსამშენებლო კომბინატის კოლეტივის მისამართით (დირექტორი ლ. მახვილაძე), რომელიც აქ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას აწარმოებს. მინათმშენებლებმა ცხრა თვის დავალება 70,4 პროცენტით შესრულეს, რაც გააკეთეს უხარისხოა, სახლებთან მიყვანილი არ არის მისასვლელი გზები, არ მუშაობს ლიფტები.

მშენებელთა დიდ გაპარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ ვადამდე მოამზადეს კარიერი საექსპლოატაციოდ. სულ გადასნსნილია 27 საფეხური, თვითეულის სიმაღლე 12-15 მეტრია, მოხსნილი და გაზიდულია 130 მილიონი კუბმეტრი ფუჭი ქანი. ასეთი დიდი სამუშაოების შესრულება წარმოუდგენელია მძლავრი ტექნიკის გარეშე და ამიტომაც იყო, რომ აქ ფართოდ გამოიყენეს 4,5 და 6 კუბმეტრი სიმძლავრის ექსკავატორები, 27-40 ტონის სიმძლავრის სატვირთო ავტომანქანები, მძლავრი საბურღი და მიწისსათხრელი მანქანები, ბულდოზერები და სხვ. კარიერის ზედა ნიშნულის სიმაღლე ზღვის დონიდან 1.158 მეტრზეა, ხოლო ქვედა ნიშნულისა—810 მეტრზე. ამდენად — ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ რა რთულ პირობებში უხდებოდათ მშენებლებს კარიერის საექსპლოატაციოდ მოსზადება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

პირუტყვს — მტკიცე საკვები ბაზა!

საკვების დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1974 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით (პროცენტობით)

	სულ უხეში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	ბზა სილოსი
		მათ შორის			
ახალქალაქის	86	88	98	70	13
ბორდანოვკის	74	77	102	46	58
ახალციხის	79	67	95	80	3
ადიგენის	112	36	173	50	3
ასპინძის	75	93	110	39	94
ხაშურის	98	123	125	83	4
ქარელის	88	83	135	83	73
ბორის	111	118	177	86	33
კასპის	85	95	102	75	21
ბორჯომის	85	89	88	46	50
საბადრიშოს	105	118	101	38	53
ბერეზაანის	112	86	236	95	92
სიღნაღის	106	112	146	95	67
წალენჯიხის	104	183	100	90	111
თელავის	109	97	136	107	48
ახმეტის	107	150	165	63	65
ყვარლის	95	82	140	78	22
ლაგოდეხის	78	45	102	84	15
გარდაბნის	111	140	113	76	44
მცხეთის	161	117	168	4-ჯერ	43
მარნეულის	107	93	121	113	43
გოლენისის	118	79	117	189	29
წალკის	69	58	141	39	52
დუშეთის	71	66	115	70	—
თეთრიწყაროს	100	99	142	68	64
დმანისის	63	53	102	40	97
თიანეთის	67	66	150	39	22
ყაზბეგის	63	63	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ა/ო	62	58	90	59	13
წყალტუბოს	35	114	80	14	50
სამტრედიის	27	122	67	7	64
ზუგდიდის	22	79	54	5	52
ვანის	39	136	100	3	37
მარეკოვსკის	61	149	102	30	89
ზესტაფონის	55	151	72	34	71
თერჯოლის	50	138	100	37	83
ჭიათურის საქ. საბჭო	46	167	57	17	28
საჩხერის	60	128	100	40	49
ორჯონიკიძის	39	150	58	3	27
ტყიბულის საქ. საბჭო	35	169	100	0,4	4
ონის	90	116	40	6	63
ამბროლაურის	72	111	49	24	14
ცაგერის	58	118	100	—	34
ლენტეხის	71	87	—	4	—
აბაშის	27	96	105	—	96
ცხაკაიას	45	51	43	25	42
გეგეჭკორის	23	87	136	—	26
ზუგდიდის	20	56	28	—	36
ხობის	32	69	104	—	96
წალენჯიხის	31	64	43	—	13
ჩხოროწყუს	25	63	58	2	30
მახარაძის	21	47	40	—	21
ლანჩხუთის	48	69	123	—	53
ჩოხატაურის	40	96	30	0,1	38
მესტიის	77	84	—	18	—
აფხაზეთის ასსრ	35	89	69	—	19
აბაშის ასსრ	72	76	84	2	52
სულ	77	83	113	53	49

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მეურნეობები, როგორც ეს ჩანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან, ძალზე ნელი ტემპით იმარაგებენ საკვებს პირუტყვის გამოსაზამთრებლად. მაგალითად, ახალციხის რაიონში უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 75 პროცენტით, წალკის, დმანისის, თიანეთის, წულუკიძის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მახარაძისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — უფრო ნაკლებით. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩამორჩენილია უხეში საკვების დამზადებაში — 77 პროცენტი მთლიანად რესპუბლიკაში. მართალია თივის დამზადების გეგმა შესრულებულია 83 პროცენტით და ცოტა მეტით, მაგრამ აქაც ჩამორჩენილან რაიონები. მათ შორის არიან ადიგენის, ლაგოდეხის, წალკის, დმანისის, სამხრეთ ოსეთისა და სხვა რაიონები.

შეტმა წილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს სენაჟის ჩადება, რის შედეგადაც ამ სახეობის საკვების დამზადების დაგალება შესრულებულია 113 პროცენტით. მაგრამ აქაც ყველაფერი რიგზე როდია. მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების არაორგანიზებულობით და უპასუხისმგებლობით, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების არა საკმარისი დახმარებით შეგვიძლია ავუსნიათ სენაჟის ჩადების შეუწყნარებლად ნელი ტემპი წულუკიძის, ონის, ამბროლაურის, ცხაკაიას, ზუგდიდის, წალენჯიხის, მახარაძის, ჩოხატაურის რაიონებში.

ახლა სილოსის მასობრივი ჩადების დრო. ამასთან ყველგან პირობები და შესაძლებლობანია იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს ამ დიდმნიშვნელოვანი ხახეობის საკვების დაგროვების დაგალებანი.

მთის რაიონებში უკვე დგება პირუტყვის ბაგურ შენახვაზე გადაყვანის დრო. ამ ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ და ყოველნაირად დაჩქარონ საკვების დაწნადების ტემპი, მიზიდონ საკვები ფერმებში, სწრაფად დაამთავრონ მეცხოველეობის ხადგომების დათბუნებისა და დეზინფექციის სამუშაოები, ყოველი ღონე იხმარონ რათა უზრუნველყონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მოკვეთილი

რედაქციას უპასუხებს პარტიის დუშეთის რაიკომი

კრიტიკული წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით „მოკვეთილი“, ეხებოდა დუშეთის რაიონის ზოგიერთი სოფელში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს, ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომის მდივანი დ. ჭითიაშვილი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი სწორად აღნიშნავს ხევსურეთის სოფლებში ბისოსა და ხახმატში ძველი ადათ-წესებით დაბნეულების მიმართ ზომების მიღებას. ამაზე პარტიის რაიკომის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა. როგორც დადგინდა, არსებული ნაკლოვანებანი უქნარასა და ციოლისმწამებლობს წინააღმდეგ მწრომელი ადამიანების მიერ შერანილმა განცხადებებმა და საჩივრებმა სასოფლო საბჭოს აღმასკომსა და რაიონის აღმასკომის ზოგიერთ დაწესებულებებში ვერ ჰპოვა სათანადო რეაგირება. ამიტომ იყო, რომ სოფელმა ზემართა ეკლესიდურეულ — გამოსაკვალს — ძველ ადათს „მოკვეთას“. მოსახლეობის მიერ ძველი ადათების გამოყენების ბრალდებს ამ ორი-სამი წლის წინათ ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბარისახოში. ქობულსა და ზოგიერთ სხვა სოფელში.

უკანასკნელ ხანებში ხევსურეთში გატარებული პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა ურთიერთობა მიწობლებს, აარეთვე სოფლებსა და უბნებს შორის.

პარტიის რაიკომის ბიუროს აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებსაც ადგილი აქვს ხევსურეთის სოფლებში. იმის შედეგია, რომ საკმარისი ყურადღება არ ექცევა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის საკითხებს. სუსტია აღმზრდელობითი საქმიანობის ქმედითობა, მშრომელთა ინიციატივასა და აქტივობის შემდგომი განვითარება.

ბიუროს სათანადო ღონისძიებანი დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

□

სკოლას — ყველას მზრუნველობა

რედაქციას უპასუხებს პარტიის ცხაკაიას რაიკომი

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 23 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო სარეიდო წერილი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე ცხაკაიას რაიონში სათაურით „სკოლას — ყველას მზრუნველობა“. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი რ. თაჩოლია რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია. მიმდინარე წლის ზაფხლის პირიოდში, ვიითხოვოთ შემდეგ პასუხში, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლის მომზადებისათვის დაწყებისათვის. ჯერ კიდევ 31 ივლისს რაიასამბჭოს აღმასკომის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „რაიონის ზოგადსაგანმათლებლო სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში 1974-1975 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“. სკოლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის საქმეში არსებული ის ხარვეზები. რაც აღნიშნულია გაზეთ „კომუნისტის“ 23 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილში, გამოსწორებულ იქნა, და 1974 წლის 1 სექტემბრის სკოლებში მიღადებიდან ნორმალურად დაიწყო.

ქუთაისელი ფედიუნინელები

ავტოტრანსპორტელთა ბრიგადა, რომელსაც კ. იობიძე ხელმძღვანელობს, ბრიგადული იჯარით მუშაობს.

□

ორი-სამი წლის წინათ ქუთაისის № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს „ოლექტივი გეგმებს ვერ ასრულებდა, ამაზე ბევრი იფიქრეს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედნენ, რომ თვითსაცლელი ავტომანქანებზე გამოიყენონ-ნათ ნახევარმისაბმელები და ამით გაეზარდათ გადატანილი ტვირთების რაოდენობა. მართლაც, 1973 წლის მეორე ნახევარში ადგილობრივი ძალიბით ექვსი ნახევარმისაბმელი დაამზადეს. ხოლო ოთხიც ავტოშემკეთებელი ქარხნიდან შეისყიდეს. ასე რომ ათი თვითსაცლელი ავტომანქანა თვითთეული ცხრა ტონა ტვირთამწეობისა გახდა. მაგრამ თავდაპირველად მძღოლებს მათზე მუშაობა გაუჭირდათ, რადგან ასეთი ავტომანქანის მართვა რთულია, ამასთან ისინი დასაქმებული იყვნენ ტვირთების ცალმხრივი გადაზიდვით და, ბუნებრივია, მძღოლთა გამომუშავებაც ნაკლები იყო.

ტვირთბრუნვის დაჩქარების, აგრეთვე მძღოლთა მატერიალური დაინტერესების მიზნით დღის წესრიგში დადგა ტვირთების ორმხრივი გადატანის ორგანიზების საკითხი. ტრესტის ხელმძღვანელებთან ერთად მოსკოვში მიავლინეს საწარმოს დირექტორი ვ. სანოძე, რომელიც გულდასმით გაეცნო დედაქალაქის № 29 ავტოკომბინატის მძღოლის ე. ფედიუნინის მუშაობის გამოცდილებას, როგორც ცნობილია, ე. ფედიუნინმა შესანიშნავად გამოიყენა ცნობილი მშენებლის ზლობინის ბრიგადული იჯარით მუშაობის მეთოდი და მისი მაგალითისამებრ შექმნა ბრიგადა.

მალე № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოშიც შეიქმნა ასეთი ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდა 20 მძღოლი. ბრიგადას სათავეში ჩაუდგა ავტორიტეტიანი მუშაკი კ. იობიძე. ბრიგადაში გაერთიანებულ ყველა ავტოგამწყს № 12 საერთო სამშენებლო სამმართველოს ვარციხის ასფალტის ქარხნიდან გაიქვს ტვირთი ზესტაფონსა და სამტრედიას მიმართულებით, ამასთან უკუმმართულებით ეზიდებიან ხრეშსა და ხალას, მალე მაჩვენებლები გაუმჯობესდა.

1974 წლის პირველ კვარტალში თვითეულ ავტომანქანას გადაკეთდა 815 ტონა ტვირთი. ახლულებდა 23.600 ტონა-კილომეტრს, გარბენის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენდა 0,56 პროცენტს. ახლებურად მუშაობის მარტო ორი თვის — ივლისისა და აგვისტოს მონაცემებით თვითეული ავტომანქანის მიერ გადაზიდულია 950 ტონა ტვირთი, შესრულებულია 37.000 ტონა-კილომეტრი, შემოსავალი ყოველ მანქანაზე 2.190 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო მძღოლის საშუალო გამომუშავებამ თვიურად 360 მანეთი შეადგინა.

სიინტერესოა ის ფაქტიც, რომ მარტო აგვისტოში საწარმოს მიერ შესრულებულ 1.980.000 ტონა-კილომეტრიდან კ. იობიძის ბრიგადაზე მოდის 634.805 ტონა-კილომეტრი, ე. ი. 31,1 პროცენტი.

ბრიგადული იჯარით მუშაობის პირობებში შრომა უფრო სახალისო გახდა, აქ მტკიცედ იცავენ პრინციპს „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. და, რაც მთავარია, ქმაყოფილი არიან მშენებლები. ისინი ტვირთს შეუფერხებლად იღებენ.



სურათზე: ბრიგადირი კ. იობიძე.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

გ. ბერსამეას ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მშრომელთა შენიშვნებს, წინადადებებს — დროული მხარდაჭერა!

საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

ზუგდიდი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). მშრომელთა წინადადებებზე, მათს სამართლიან შენიშვნებსა და საჩივრებზე რეაგირება ყოველი-პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ერთ-ერთი პირველი რიგის მოვალეობაა, სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ამას წინათ გამართული საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

მოხსენებით — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე მუშაობის გაძლიერების საქმეში ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ — გამოვიდა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. კვარაცხელია.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ ხანს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად დადებითი ცვლილებანი მოხდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში. ამან არსებითი გავლენა მოახდინა ქალაქ ზუგდიდის მშრომელთა საქმიანობაზეც. ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 25 აგვისტოსათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამომვებისა და რეალიზაციის 8 თვის გეგმა, რეალიზებულია 3 მილიონ 400 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

წარმატებანი იმის შედეგია, რომ საწარმო-დაწესებულებებში, მშენებლობებზე გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ამაღლდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, დღითიდღე უმჯობესდება პარტიის საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების და სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში.

ამ ცვლილებებმა, ნდობის ატმოსფეროს შექმნამ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაღლამ, — აღნიშნავდნენ ორატორები, — ზემდგომ და ადგილობრივ ორგანოებში მშრომელთა განცხადებების, წერილებისა და საჩივრების მოზღვავება გამოიწვია. მიმდინარე წლის 8 თვეში პარტიის საქალაქო კომიტეტში შესულია 1.000-მდე განცხადება-საჩივარი. დიდი რაოდენობით მიიღეს განცხადებები საქალაქო საბჭოს აღმასკომში, ადმინისტრაციულ ორგანოებში და სხვ.

როგორც კომბინატის დირექტორმა ფ. ნაჭყებიამ და მთავარმა ინჟინერმა ვ. მახარაძემ განმარტეს, მოპოვებული მადანი ავტოთვითსაცლელი ეტინი გადაზიდული აფარიკაში, სადაც მოხდება მათი პირველადი და მეორადი დამსხვრევა. შემდეგი პროდუქციი კი მთავარ კორპუსში წარიმართება. ეს არის მიღებული ჯასის დაფქვა, დაღლეკა და ფილტრაცია. ყოველივე ამის შემდეგ მიღებულ იქნება მზა პროდუქცია — სპილენძის, ტყვიის, თუთიის და ბარიტის კონცენტრატები.

„ნაზსველის ყურადღებას იპყრობს ახალი და ახალი სამშენებლო ბარაჩოები. — ეს მეიმე წონის ავტოთვითსაცლელეტისათვის განკუთვნილი გარაჟია — გეტყვიან აქ. ეს კი — ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატი, საკარიერო მანქანების და მოწყობილობების სარემონტო სელოსნო, საქვაბე, ელექტროქვესადგური, ფეიქრული ნივთიერებათა საწყობი, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, წყალსაცავები და წყალსადენის მილგაყვანილობა...

ყურადღებას მიიპყრობს ისიც, რომ აქ საბჭოთა კავშირში პირველად ააშენეს კარიერის სადისპეტჩერო პუნქტი, სადაც გამოთვლითი მანქანების საშუალებით ხდება მანქანების განაწილება, ეთ მიერ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა.

დაიწყო თუ არა კომბინატის მშენებლობა, იმავე დღეებიდან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა საცენტრიმენტო სამაჩრო, ანუ საცდელი გამამდიდრებელი ფაბრიკა. ფაბრიკამ მრავალი საყურადღებო პრობლემა გადაწყვიტა. დაამუშავა მომავალი დიდი ფაბრიკისათვის პროექტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სქემები და მომზადა სათანადო კადრები. აქვე ამუშავდა ავტოლაბორატორია ნახევრადაქარხნო დანადგარი, რომელზეც საქართველოსა და ლენინგრადის მეცნიერ-მუშაკებმა გადაწყვიტეს პიდრომეტალურგიული მეთოდით სპილენძის ფხვნილისა და სპილენძის ნაკეთობათა მიღების ეფექტური პრობლემა. ორჯონიკიძის ინსტიტუტ „კავგიპრომეტალის“ თანამშრომლებმა შეადგინეს ამ საამქროს გაფართოების პროექტი სპილენძის კონცენტრატების გადამუშავების მთელი ციკლის ავთომატიზებით. სწორედ ამ პრობლემებმ წარმატებით გადაჭრა შექმნა რეალური პირობები იმისათვის, რომ ეზრეთშივე აშენდეს სპილენძის კონცენტრატის გადამამუშავებელი ფაბრიკა, რომელიც საბოლოო პროდუქციას — სპილენძის ფხვნილს გამოუშვებს. უკვე ეყრებიან ამ ფაბრიკის დამოუკიდებლობის საბუთები.

მშენებლობაზე ახლა მთელი სიფრძე-სიგანეთი დგას წყლითა და ელექტროენერგიით მოპარაგებული საკითხები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ჯერ კიდევ 1966 წელს კომბინატმა გადაიყვანა პირველი რიგის წყალსადენი თავისი სფალტრო და საბუთმო სადაურებით მდინარე მაჩაურიდან. ეზაზოდელი ბოთლოვნილების დასაკმაყოფილებლად კი სამი წლის წინათ დაიწყო მეორე რიგის წყალსადენის მშენებლობა „საყოფილსაზ“ წყალრეზერვუარიდან (დმანისის რაიონი). ამ წყალსადენის სიგრძე 40 კილომეტრია. თითქმის თეელ სიგრძეზე ჩაგებულია მილები და ახლა სწრაფი ტემპით სწარმოებს მონტაჟი. როგორც საქმეგანმონტაჟის ტრესტის მმართველმა ვ. ომნაძემ განაცხადა, წყალგაყვანილობის სამუშაოები მალე დამთავრდება და კომბინატი მიიღებს



1974 წლის პირველ კვარტალში თვითეულ ავტომანქანას გადაკეთდა 815 ტონა ტვირთი. ახლულებდა 23.600 ტონა-კილომეტრს, გარბენის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენდა 0,56 პროცენტს. ახლებურად მუშაობის მარტო ორი თვის — ივლისისა და აგვისტოს მონაცემებით თვითეული ავტომანქანის მიერ გადაზიდულია 950 ტონა ტვირთი, შესრულებულია 37.000 ტონა-კილომეტრი, შემოსავალი ყოველ მანქანაზე 2.190 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო მძღოლის საშუალო გამომუშავებამ თვიურად 360 მანეთი შეადგინა.

სიინტერესოა ის ფაქტიც, რომ მარტო აგვისტოში საწარმოს მიერ შესრულებულ 1.980.000 ტონა-კილომეტრიდან კ. იობიძის ბრიგადაზე მოდის 634.805 ტონა-კილომეტრი, ე. ი. 31,1 პროცენტი.

ბრიგადული იჯარით მუშაობის პირობებში შრომა უფრო სახალისო გახდა, აქ მტკიცედ იცავენ პრინციპს „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. და, რაც მთავარია, ქმაყოფილი არიან მშენებლები. ისინი ტვირთს შეუფერხებლად იღებენ.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ბრიგადირი კ. იობიძე.

გ. ბერსამეას ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

(დასასრული)

დაკავშირებული არ არიან კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, აგრეთვე კოლების ფიქტიური გაყოფის, უკანონო ჩაწერის შემთხვევები. მთელ რიგ მეურნეობებში სწორად არ წარმოებს ჩამორთმეული საკარმიდამო მიწების აღრიცხვა და დაბეგვრა, აგრეთვე ამ მიწებზე მოწეული მოსავლის აღრიცხვა.

მიწის დაცვასა და რაციონალურ გამოყენებაში დამვებული დარღვევები შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების მხრივ უკონტროლობის შედეგია.

* * *

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა ის საკითხი, თუ რორგ ასრულებენ დიდი სამამულო ომის ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კანონმდებლობას ქალაქ ჭიათურაში, ბორჯომისა და სიღნაღის რაიონებში.

აღინიშნა, რომ ზემოთ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში გარკვეულ შუამავას ეწევიან, რათა კანონით დადგენილი შეღავათები მიეცეთ სამამულო ომის ინვალიდებს და ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებს. ხორციელდება ღონისძიებანი სამამულო ომის ინვალიდების მიერ საწარმოო პროფესიათა ათვისებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მათი უმრავლესობა მონაწილეობს საზოგადოებრივი სასარგებლო შრომაში. აღმასრულებელი კომიტეტები შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებენ ბინებით ომის ინვალიდებსა და დაღუპულთა ოჯახებს, ხელსაც აძლევენ გარკვეულ თანხას ინდივიდუალურ სასლმშენებლობისათვის, ამარაგებენ დეფიციტური სამშენებლო მასალებით და ა. შ. დაცულია მოქმედი კანონმდებლობა გადასახადის გადახდის შეღავათებისა და უფასო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფის შესახებ. თითქმის ყველა სასოფლო საბჭოსა თუ კოლმეურნეობაში დადგმულია სტენდები, გაშენებულია პარკები და ხეივნები დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად.

ამასთანავე ჭიათურის, ბორჯომისა და სიღნაღის შრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოები და დაწესებულებანი არ ასრულებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა სამამულო ომის ინვალიდებმა ისარგებლონ დაწესებული შეღავათებით.

საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე იშვიათად იხილავენ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების საკითხებს, რომლებიც სამამულო ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეხება, არ წარმოებს განსაზღვრებითი მუშაობა მოსასლეობაში, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ომის ინვალიდებისა და დაღუპულთა ოჯახების წევრების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას და სხვა საკითხებს. ამ მუშაობაში ჩაბმული არ არიან საბჭოების დეპუტატები, აქტივი, სამხედრო კომისარიატებთან არსებული საპენსიო-საყოფაცხოვრებო საბჭოების სექციები.

არის ნაკლოვანებანი ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურებაშიც. იმ ინვალიდთა 23 პროცენტს, რომლებიც ქალაქ ჭიათურაში არიან აღრიცხვაზე, არ გაუვლიათ კომპლექსური სამედიცინო შემოწმება, 25 პროცენტს კი სტაციონარული მკურნალობა. სიღნაღის რაიონში სტაციონარული მკურნალობა გაიარა ომის ინვალიდთა 60,3 პროცენტმა, ბორჯომის რაიონში აღრიცხვაზე არ არიან პირნი, რომლებსაც სამედიცინო მომსახურება სჭირდებათ.

ნაკლოვანებანია ქალაქ ბორჯომში სამამულო ომის ინვალიდების და დაღუპულთა ოჯახების წევრების ბინებით უზრუნველყოფაში.

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები სუსტად აკონტროლებენ სამამულო ომის ინვალიდთა და დაღუპულთა ოჯახების წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, არ წარმოებს განსაზღვრებითი მუშაობა მოსასლეობაში, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ომის ინვალიდებისა და დაღუპულთა ოჯახების წევრების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას და სხვა საკითხებს. ამ მუშაობაში ჩაბმული არ არიან საბჭოების დეპუტატები, აქტივი, სამხედრო კომისარიატებთან არსებული საპენსიო-საყოფაცხოვრებო საბჭოების სექციები.

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რომ შედარებით ახალგაზრდა მწერალზე (მაშინ იგი ოცდაათი წლისაზე ცოტა მეტი ხნისა იყო) დაწერილ სტატიას ძალიან საზეიმო სათაური ჰქონდა — „დედაქალაქის დაპყრობა".

ავტორი სტატიისა, რომელიც 1935 წელს აღმანახ „ᲗᲝᲚᲝᲓᲝᲜᲘᲡᲢᲘᲜᲐ" გამოქვეყნდა, შალვა სოსლანის პირველი მოზრდილი მოთხრობის შესახებ წერდა: „გარეგნულად „რაში და ქვეყანანა" — ეს არის მოთხრობა საქართველოს მთის სოფლის მკვიდრ ბიჭუნაზე, შემდეგ კი ჭაბუკზე, რომელიც თავისი ერთი ციცქნა სამყაროდან უცებ გამოდის დიდ ქუჩაზე — მოხვდება მოსკოვში, უმაღლეს სკოლაში, მოწინავე მუშა-ახალგაზრდობის საზოგადოებაში. ამ გადასვლას მოულოდნელობასთან ერთად აქვს სირთულეებიც. მოთხრობის გმირმა არ იცის რუსული ენა და უჭირს თავი დაალწიოს ბავშვობის ჩვევებს".

ამ სტატიის დაბეჭდვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, სამწუხაროდ, უკვე შალვა სოსლანის სიკვდილის შემდეგ, სხვა კრიტიკოსი მისი კრებულის მცირე შესავალ სტატიაში თავის მოვალეობად თვლიდა აღენიშნა, რომ „რაში და ქვეყანანა" ერთ-ერთი პირველი ლირიკული მოთხრობაა საბჭოთა ლიტერატურაში, სადაც დროის შესახებ თხრობას საფუძვლად დაედო ნახევრადბიოგრაფიული, სიუჟეტი სავსე ჭაბუკური აღსარება.

კრიტიკა თითქმის ერთხმად აღნიშნავდა, რომ შალვა სოსლანის მოთხრობების უმეტესობა ავტობიოგრაფიულია, სადაც მისი გმირები ავტორის ცხოვრებით ცხოვრობენ. აქ გვინდა კიდევ ერთი ციტატა მოვიყვანოთ: „სოსლანი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავისთავს იმისათვის აღმოაჩენენ ხოლმე, რომ შეიყვარონ სამყარო და ადამიანები..., რომლებსაც ეს სამყარო უნდა ეკუთნოდეთ".

* * *

ეს „ჩასაბნელი, საშუალო ტანის, რბილ ჩექმებსა და რუხ, ვიწრო ქამრით გადაჭერილ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი", რომელიც თითქმის არაფრით არ გამოირჩეოდა თბილისელთა შორის, ოცდაათიან წლებსა და ორმოციანი წლების დასაწყისში მოსკოვში თავისი რაცმულობით ყველას თვალში ხვდებოდა. ცხადია, დღესაც არიან ცოცხალი ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ იგი და უნახავთ კიდევ 1941 წლის ზაფხულში, როცა სამხედრო კომისარიატიდან გამოვიდა და მოქმედ არმიას მიაშურა.

იგი გმირულად დაიღუპა. მაგრამ მისი ხსოვნა ხალხის გულში ცოცხლობს, მისი სახელი ამშვენებს სამამულო ომში დაღუპულ ლიტერატორთა მემორიალურ დფაზს.

მართლაც არაჩვეულებრივი იყო მისი ბედი. მასზე მომოთხრობდნენ ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ: ბესო ფეფინაი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე (შალვა სოსლანმა რუსულად თარგმნა მისი პირველი მოთხრობა „შეხვედრა თაშა", რომელიც 1926 წელს მოსკოვის ჟურნალ „ᲞᲘᲠᲐᲜᲘ" დაბეჭდა), ლაზროსი კალანდაძე, გიორგი ნახუცრიშვილი, რომლის პიესასაც „ლადო კეკელიძე" (იგი ნახუცრიშვილმა ბორის გამყრელიძესთან ერთად დაწერა) სოსლანი რუსულად თარგმნიდა.

შალვა სოსლანს როგორც ადამიანს ძალიან თბილი გრძნობით იგონებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა, აგრეთვე დოკუმენტი გადმომცეს მისმა ქვირივმა ლადო სერგოს ასულმა სოსლანმა და ნათესავმა, საქართველოს ტელევიზიის ოპერატორმა მარლენ ნიკოლოზის-ძე სოსლიანმ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სახელი ორჯერ არის მოხსენიებული მოთხრობა „კონტროლიორში".

მწერალი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა 72 წლისთავს იდღესასწაულებდა. მაგრამ მან ამ ციფრის ნახევარზე სულ ცოტა მეტ ხანს იცოცხლა.

შალვა ბესარიონის-ძე სოსლანი დაიბადა 1902 წლის 18 აპრილს (ძველი სტილით). საქართველოს ერთ-ერთ მშვენიერ კუთხეში — იმერეთში, რომელიც ასე კარგად დასატეს მამა-შვილმა კლდიაშვილებმა. სოფელ დიდ ჯიხაიშში დღესაც დგას სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა მწერალმა.

რიცა შალვამ ხონის ოთხწლიანი უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა, ბაათმის აფთიაქში ფარმაცევტის მოსწავლედ გაამწესეს. ამის შემდეგ მასზე ზრუნვა იკისრა ბიძამისმა, რომელიც ბათუმ-თბილისი-მოსკოვის რკინიგზის მატარებლების გამცილებელი იყო. შალვა ეწმაღებოდა, რომ გიმნაზიის კურსი ექსტერნად ჩაებარებინა, მაგრამ 1918 წელს ბათუმი თურქებმა ჩაიგდეს ხელში. შალვა კვლავ დიდ ჯიხაიშს დაუბრუნდა. უფროსი ვაჟი ოჯახს არჩენს, ახლო ნათესავების მიწის ნაკვეთებს ამუშავებს, ამასთან ბევრს კითხულობს და „ქართველი ქალაიკოსებისა და თანამედროვე მწერლების გავლენით" წერს. შალვა სოსლანი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა, ასრულებს ბოლშევიკთა ადგილობრივი იტაკქმელის ორგანიზაციის დავალებებს.

თავის ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „როგორც კი 1921 წელს გამოქვეყნდა ქართული წითელი არმიის ნაწილების ფორმირების ცნობა, მე არმიაში წავედი". 1921-1923 წლებში სოსლანი თბილისის I ფეხოსან წითელარმიელთა ლეგიონში ირიცხება. ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მისი სიყვარული გამოხატულებას პოულობს „ᲛᲔᲡᲘᲐ" გაზეთში, ამჟამის ლიტერატურულ ჟურნალში, საკლუბო სპექტაკლებში (აქ უნდა აღინიშნოს, რომ შალვა სოსლანი სწავლობდა ა. ფაღავას თეატრალურ სტუდიაში), მაშინ თვითმყრალად მსახიობებს სუფლიორობას უწევდა ამჟამად სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი.

მაგრამ აი სამსედრო სამსახური დამთავრდა. და ხვებთან ერთად მას მოსკოვში სასწავლებლად გზავნიან. 1927-1932 წლებში შალვა სოსლანი კრემლში მუშაობს მთარგმნელად (რუსულიდან ქართულად თარგმნის სსრ კავშირის ენერგეტიკური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს კანონებსა და განკარგულებებს), ამასთან სწავლობდა განაგრძობს. აქ ყალიბდება იგი როგორც მწერალი.

ლიტერატურაში თავისი გზა პროზაიკოსმა შალვა სოსლანმა ლენინის კრებულით დაიწყო. ეს წიგნი ქართულ ენაზე თბილისში დასტამბა 1923 წელს, ალბათ ამიტომაც იყო შემდგომ რუსულ ენაზე დაწერილი მისი პროზა ასეთი ლირიკული.

სოსლანის მოთხრობები ლიტერატურულ ჟურნალებსა და ალმანახებში იბეჭდებოდა 1966 წელსაც. მწერლის სიკვდილიდან ოცდაერთი წლის შემდეგ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა მისი მოთხრობების კრებული.

პირველ მოთხრობას კრებულში „რაში და ქვეყანანა" ეწოდებოდა, ამის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მეორეს — „აჯა" („კონტროლიორი"). ეს არის მოთხრობა სიყვარულზე, ადამიანობაზე, საუკუნეობრივი გადმონაშთების დაძლევაზე. მესამე მოთხრობა „ახალი ბაღი" დოკუმენტურია, მისი თემა კოლხიდის ათვისება და გარდაქმნაა. თვითეული ეს მოთხრობა ცალცალკე დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებებია, ძაგრამ მათ აერთიანებს მთავარი გმირების სულიერი სიახლოვე.

ადვილი მოსასვენერია, რატომ წერდა იგი ასე, ის ხომ ქართულ სოფელში დაიბადა, იქ იშვა მისი რაინდული იდეალი, რომელიც შემდეგ მიმზიდველად დახატა თავის მოთხრობებში. მაღალი მორალური სიწმინდე, — აი რა არის შალვა სოსლანის მოთხრობების გმირთა მთავარი ღირსება.

მოსკოვში ყოფნის დროს შ. სოსლანი აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალურ პრესაში, მთელი რიგი ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე ეწევა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას. ჩემს წინ დევს „იზვესტიას", „მოსკოვსკია კომსომოლეცის" გაყვითლებული ნომრები, რომლებშიც დაბეჭდილია ნარკვევი შალვა დადიანზე, სტატია მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი. ეი „ლიოგკაია ინდუსტრია", — „შოთა რუსთაველი", — ასეთია შოთას პოემის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილის სათაური.

1936 წელს ჟურნალ „ᲞᲠᲘᲥᲚᲐᲢᲘ ᲓᲜᲔᲘᲠᲘᲐ" გამოქვეყნებულ მოგონებებში შალვა სოსლანს მოჰყავს გორკის მიერ მისი მოთხრობის შესახებ ნათქვამი ასეთი ციტატა:

„თქვენი „ბაბუა" კარგია, — თქვა მან — „კონტროლიორის" შესახებ, — რაც უფრო მართალი და მხატვრულად დამაჯერებელია საბე, მით უფრო ეროვნულია, ამასთან ყველასათვის გასაგებიც არის, ინტერნაციონალურია".

ამ შეხვედრის დროს, რომელიც 1933 წელს შედგა, ალექსეი მაქსიმისძემ სოსლანს წინადადება-მისცა მუერალია მომავალ ყრილობაზე დაეყენებინათ საკითხი საერთო საკავშირო ჟურნალის შესაქმნელად: „თუ გინდ ეს იყოს ჟურნალი ან ალმანახი, რომლის მიზანი იქნება კავშირის ყველა რესპუბლიკის მწერლების ერთობლივი თანამშრომლობა ერთ მხატვრულ ორგანოში". ასეთი ჟურნალი შეიქმნა, ეს არის „ლიტერატურნოეოგრ".

რიცა შალვა სოსლანს ვიხსენებთ, ჩვენი აზრით, დროა ვიფიქროთ მისი მოთხრობების ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემისათვის, ამასთან საჭიროა დიდ ჯიხაიშში, მის სახლში, სადაც მწერალი ცხოვრობდა, გაკეთდეს მემორიალური დაფა.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

3. ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲕᲘᲖᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, (საკდესი). უკანასკნელი საშინაო-პოლიტიკური კრიზისის დაძლევამ განამტკიცა შეიარაღებული ძალების მოძრაობის, არმიისა და პორტუგალელი ხალხის ერთიანობა, შექმნა საუკეთესო შესაძლებლობანი ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებისათვის. ეს უნგრეთის გაზეთ „ნეპსაბადშაგისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა პორტუგალიის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ბრიგადის გენერალმა ვ. გონსალვიშმა.

ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, რომელიც ხელისუფლებას სამოცეში ედგა 48 წლის მანძილზე, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, პორტუგალიის მთავრობის წინაშე დადგა მთელი რიგი დიდნაწილოვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანები. მათ შორის არის აფრიკაში კოლონიათა მოსპობის, პორტუგალიის ხალხის მასების ცხოვრების დონის ამაღლების საკითხი, აგრეთვე რთული კომპლექსური პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობენ პორტუგალიაში ხაზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესის განხორციელების აუცილებლობიდან.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲝᲛᲘᲡ

ᲯᲐᲜᲝᲘ, (საკდესი). ვიეტნამის სამართლიანი ომის მუდმივი მხარდაჭერისათვის საბჭოთა ხაზოგადოებრიობას გულითადი მადლობა გადაუხადა ვიეტნამის ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲣᲠᲝᲡ ᲬᲕᲠᲛᲐ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფან ვან დონგმა. მან აქ მიიღო საზეიმო გარეგნობა ეროვნის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა ხაზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებებისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებასთან თანამშრომლობის 1974-1975 წლების გეგმის ოქმს.

საბჭოთა დელეგაციის ყოფნის გამო ჰანოიში ვიეტნამელთა მეგობრობის მიტინგი.

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲡᲣᲔᲪᲘᲡ ᲐᲠᲮᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, (საკდესი). 18 კაცი დაიღუპა სუეცის არხში ზღვის საბურღ დანადგარზე მომხდარი კატასტროფის შედეგად.

ამერიკის კომპანიის „ამოკო ოილის" დანადგარს, რომელიც ბაქანზე იყო დამონტაჟებული, უკვე ორი წელია იყენებდნენ სუეცის არხში საბურღი ხამუშაოებისათვის. გუშინ ხალამოს პლატფორმის ერთ-ერთი საყრდენი მოულოდნელად გადატყდა და საბურღი კოშკის სულ უფრო მეტი გადახრის შედეგად პლატფორმა ზღვაში ჩავარდა. 12 ამერიკელი სპეციალისტიდან და 7 ეგვიპტელი მენავთობიდან მხოლოდ ერთი ეგვიპტელი გადარჩა.

შემთხვევის ადგილას მივიდნენ ეგვიპტის გემები, დაიწყო კატასტროფის მიზეზების გამოძიება.

□

ᲛᲐᲗᲘ ᲤᲜᲔ-ᲒᲕᲔᲣᲚᲔᲑᲙᲜᲘ

სტუდენტი გოგონები რიგაგზე

მრავალ გასართობს შორის, რომლებსაც კოენკაგენის მახლობლად მდებარე დასასვენებელი პარკი „ბაკენი" მომსვლელთ სთავაზობს, არის ეგრეთწოდებული „კრივი ტალახში", ანუ კრივი მომწვანო ფერის ტალახით დაფარულ რინგზე. შეჯიბრების პირობა საკმაოდ უჩვეულოა. მასში მონაწილეობენ მხოლოდ ქალები, და ყოველი დარტყმის შემდეგ დამარცხებული ნაწილ-ნაწილ იხდის თავის ტუალეტს. ბრძოლის დასასრულს დამარცხებულთა ნახევრადგაშიშვლებული სხეული ტალახით არის დაფარული რინგზე ხშირი დაცემის გამო. ასეთ „შეჯიბრებაში" მონაწილეობის მსურველნი არც თუ ბევრნი არიან. ამიტომ გაჭირდა საქმოსნებმა „ბაკენში" მონაწილეობის წინადადებით მიმართვის დანიის... სტუდენტ გოგონებს იმ იმედით, რომ ისინი (ისე როგორც საერთოდ სტუდენტობა) მძიმე მატერიალურ სიძნელეს განიცდიან, ხოლო ქვეყანაში გამეფებული მზარდი უმუშევრობის პირობებში ფულის შოვნა არც ისე იოლია.

დანიის პრესა ბევრს წერს დანიის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვის შემცირებაზე, იმაზე, რომ ახალ სასწავლო წელს ბევრი თავისუფალი ადგილი დარჩა. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა განცხადებები მიმდინარე წლის ზაფხულში 25-30 პროცენტით ნაკლები იყო შარშანდელთან შედარებით. ამის მიზეზია, ამბობენ დანიის მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსწავლეთა გაუარესებული მატერიალური მდგომარეობა, საერთო საცხოვრებლებში ადგილების სიმცირე და მზარდი უმუშევრობა დიპლომიან სპეციალისტთა შორის.

ამით სარგებლობენ „ბაკენის" ატრაქციონის მფლობელები და უნიფორსიტატში შემსვლელ ქალიშვილებს სთავაზობენ გარკვეულ ფასად თავი გამოსცადონ ტალახიან რინგზე.

ᲡᲐᲥᲓᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲒᲔᲜ ᲙᲣᲒᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების 15 წლის მანძილზე სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში კუბამ საოცარი წარმატებანი მოიპოვა. ამას ახლა ამერიკის ბურჟუაზიული პრესაც იტყვის. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღიარებს, რომ კუბის ტრიუმფალურად გამარჯვებული რევოლუციის მიღწევებმა მეექვთეზეა ქვეყანაში უფასო სწავლებისა და სამედიცინო მომსახურების შემოღება, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა. „ქვეყანაში, რომელშიც ჯერ კიდევ 1959 წელს დაახლოებით მილიონი უმუშევარი იყო, დღეს ყველა დასაქმებულია", — აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი". გაზეთი წერს, რომ კუბის რევოლუციამ გადამჭრელი კორექტივები შეიტანა სოციალური ცხოვრების ისეთ რთულ საკითხებშიც, როგორიცაა მოსახლეობის განსაზღვრა ქანის ფერის მიხედვით, საკითხში, რომელიც ოთხასი წლის კოლონიალიზმმა მეექვიდრეობად დატოვა. ახლა, ხაზს უსვამს გაზეთი, კუბის ყველა რაიონში და ყველა საწარმოში შეიქმნა ერთ-ერთ ეროვნებათა ადამიანთა სხვადასხვა ოდენობა ჯარისკაცი დასახდა.

ყოველდღე ყოველი მთგანი, ხმამაღლა მოლაპარაკე ჯარისკაცი ერთ თვეშია ამ სახელს რომ გაიგონებდა, შეიძლებოდა წასულიყო და ველარ დაბრუნებულიყო. ასე წავიდნენ და ველარ დაბრუნდნენ ვლადიმერ არანდა, ჩილეს კომუნისტური პარტიის ქალაქ ლოტას კომიტეტის მდივანი, ისიდორო კარილიე ბურნერია, ქვანახშირის კომპანიის გენერალური დირექტორი, დანიელო გონსალესი ლოტას მერი, და ბევრი სხვა. ვინ გამოიძახა ისინი უკანასკნელ დაკითხვაზე? ხრინწიანი ლითონის თეფშის ლითონის ხმამ.

„ყველაზე უარესი, რაც მათ შეიძლება მოელოდეს, ვფიქრობდით ჩვენ, — იგონებდა შემდეგში კუნძულ კირიკინას საკვდილის ბანაკის ერთ-ერთი ტყვე, — ეს ერთიანთა საკანებია, ბოლოს და ბოლოს გადასასლება. მათ, უკანასკნელ ყველას ხომ დიდმნიშვნელოვანი პოსტები ეჭირათ სახალხო ერთიანობის მთავრობაში, ო, რა გულუბრყვილონი ვიყავით! სწორედ ისინი გახდნენ ჟორლალთა საშინელი შურისგების პირველი მსხვერპლნი. ისინი ღამით წაიყვანეს. ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატმა ავიხმობასაწავლებლად წამოიხორტინეს მათი სახელები. ორი დღე-ღამის შემდეგ კი მეხვივით გაისმა ამბავი, რომელმაც ყველანი შეკვაძრწუნა, ისინი დახოცეს. ყველანი!"

მათი სიკვდილის ვერსიები სხვადასხვა იყო. თვითეულისა განსაკუთრებული, თავისი. ოფიციალურ ანგარიშში ერძოდ გულგრილად ასე იყო აღნიშნული: ფერნანდო ალვარესი, ქალაქ კოსეპესიონის მმართველი, გულის შეტევისგან მოკვდა. მაგრამ ანგარიშში აღნიშნული არ იყო მთავარი: გულის შეტევა გამოწვეული იყო ელექტრონ სანგრძლივი წამებისაგან.

ბანაკის ტერიტორიაზე ისინი გაუშყვიტეს, მთელი დღეღამის განმავლობაში, სამოზნეებივით არიან. უბადრუკი ეზრის წუთებშიც კი, ბუჩქყიან ნესტიან ბარაკში, რომელსაც მხოლოდ აბუნად ადგებისათვის ეწოდება „სასადილო", ან ეკლიანი მავთულის გაყოლებით გატარებისას, ან ტანჯვით ნაშეკარ-ნაშეკარტან ძალის მოკლე სათვბში ტყვეებს გამუდმებით, ყოველი მხრიდან უცქერის ტყვიამფრქვევების ლულები, მოაჯენებს, რომ მათ ვერ უნდა გაბედონ იმის დავიწყება, რომ ისინი ტყვეები არიან, სამხედრო ტყვეები! მაგრამ ისინი თავს აძლევენ კითხვას, — რა ომი იყო ეს?

ებადებათ ბევრი სხვა მტანჯველი კითხვაც: კიდევ ვის სასლეს წამოიხორტინებს შემდეგ ხმამაღლამოლაპარაკე აპარატი? კიდევ რამდენი განწირული დაიღუპება შიმშილის, სიცივის, ავადმყოფობისაგან მომდევნო კვირაში? იქნება თუ არა კიდევ ვინმე მახლობელთა და მეგობრებთაგან კუნძულზე მოსული პატიმართა მორიგ პარტიაში? ხოლო თუ იქნება, რა ბედი ელის მათ? არის თუ არა თავისუფლების მიღწევის თუნდაც მცირედენი შანსი? არსებობს თუ არა მსოფლიოში მათდამი, ჩილელებისადმი, სოლიდარობის რაიმე მოძრაობა, რომელიც უნდა დაეხმაროს მათ დაამარცხონ სუნტა, ან ის მაინც აიძულოს, რომ შეწყვიტოს ეჭვიტა?

მათ მტკიცედ იციან ერთი რამ: ხალხი ხუნტის წინააღმდეგია. ადრე თუ გვიან დადგება, არ შეიძლება არ დადგეს ის დღე, როცა ხალხი კვლავ მოიპოვებს თავისუფლებას, აღადგენს დათრგუნულ თავის ადამიანურ უფლებებს.

Რ. ᲩᲝᲠᲜᲝ.

ᲛᲝᲜᲒᲝᲚᲔᲗᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 9 ოქტომბერი. (საკდესი). მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას ვიზიტით ეწვევა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. პრესაში გამოქვეყნებულია მრომელთა ბევრი წერილი, რომლებიც მხურვალედ მიესალმებიან ამ ვიზიტს.

მონგოლი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საბჭოეთის საპატიო წარომომადგენლის მომავალი ვიზიტის შესახებ, წერს მოწინავე სტატიაში „უნენი" — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ორგანო. — მონგოლი ხალხი თვალს ჩინეთი უფრთხილდება დიად ურღვევ მეგობრობას საბჭოთა კავშირთან, ყოველნაირად აფასებთ და აღრმავებს მას. ეს მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ვ. ი. ლენინმა და დ. სუხე-ბატორმა, ჩვენი ქვეყნის აუვავება, მონგოლი ხალხის ბედნიერი ცხოვრების წყარო, აღნიშნავს გაზეთი.

ᲙᲛᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲛᲝᲒᲐᲓᲝᲨᲘᲡ, ᲙᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲨᲘ, ᲑᲐᲰᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ. ᲒᲠᲔᲒᲝᲠᲘ ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲤᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲗ (ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ).

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘ. 200.000 პოლიტიკურ პატიმარს შორის, რომლებიც დამწყვდეული ჰყავთ საგონის რეჟიმის ჯურღმულებში, არიან მცირეწლოვანი ბავშვებიც (სურათზე მარცხნივ).

ᲞᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲘᲗ

ᲛᲝᲜᲒᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲠᲝᲒᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ

ვახტანგ გორგასელი

შემოდგომა გვეძახის

ჩაიარა ზაფხულის
წვამ და პაპანაქებამ...
შემოდგომა ამღერდა
შენი შრომის საქებრად.
ხულში წინსვლის ჭეშმარიტი
ისე ამოთავთავდა,
დიახ, ცდის და დუმილის
ყველა მიჯნა გათავდა.
ახლა შრომა ისეთი,
გულს რომ კვლავაც სწყუ-
რია,
ყურძნის ამ ერთ
მარცვალში
ქვეყნის სიყვარულია.
სანამ დაბლა ჩამოვლენ
ლრუბლის შავი თაღები,
სანამ ცას შეეხვნენ
შადრევნები ნაღმების...
ანდა რატომ ვუცადოთ
ცაზე ცეცხლის გაჩენას,
როცა ნაღმზე ძლიერი
არის შენი მარჯვენა.
ოღონდ დროზე შეტევა,
დროზე ლელოს გატანა,
და შენს წინ დაიჩოქებს
სიტყვის ყველა ხატანა.
ვიდრე გვიან არ არის
და მზე ლაჟვარდს ეხვევა,
უნდა იქცნენ წუთები
ლამებად და ვეფხვებად.
უნდა, უნდა მოასწრო
ამ მოსავლის აღება,
მისი დაბინავება,
მისი გაჩახჩახება.
ეს ამდენი ვარსკვლავი
რა ერთიან გაბრწყინდა,
მტევნის ერთი ღამილიც
არ წაიღოს ქარწვიმამ.
ამ ფოთლების სუნთქვაში
მტრედი ბუდეს იკეთებს
და ამღერებს ოქროს გულს
მხოლოდ შენი სიკეთე.
აქ იმდენი დაღვრილი
ოფლია და სისხლია,
რომ სახელად ეყოფა,
ვინც შრომაში ღირსია.
სიხარულმა იდინოს
მხოლოდ როგორც მთის
წყარო,
შენი გარჯის ბარაქით
რომ ისევ შენ იხარო.

ვ ე ბ ს ე ქ ო ნ ც ე რ ტ ი

ამ დღეებში კორორტ ალასთუმანში, სანატორიუმ „ზეკარის“ კლუბში თავიანი ორიგინალური კონცერტი გამართა კორორტის კულტურის სახლთან არსებულმა თვითმოქმედების საესტრადო ანსამბლმა „ოცხემ“.

ეს თვითმოქმედებითი ანსამბლი 1969 წლიდან არსებობს. იგი ხშირად გამოდის ადიგენსა და ახალციხის რაიონების მშრომელთა წინაშე, ავრეთვე — კოლმეურნეებთან, მწყემსებთან, სანატორიუმების დამსვენებლებთან.

„ზეკარის“ კლუბში გამართული კონცერტი ანსამბლის ცხოვრებაში საიუბილეო აღმონჩნდა— ეს იყო „ოცხეს“ მეასე კონცერტი.

ნ. ციხაკარაძე.

ოძისობაზე

დუშეთი. (საკ. კორ.). ქნის თვალწარმტაცი ხეობაში, სოფელ ოძისში გაიმართა სახალხო დღესასწაული ოძისობა, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება (ეხობილი ქართველი დრამატურგისა და მწერლის, ქართული თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის და მისი შვილის დავით ერისთავის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

კვირა დღის ოძისში მოვიდნენ სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი სოფლებიდან, საზეიმო სხდომაზე მოხსენები „გ. ერისთავი და ქართული თეატრი“ გააკეთა პროფესორმა გ. ბარატაშვილმა, გ. ერისთავისა და მარი ბროსეს ურთიერთობის შესახებ ილაპარაკა გ. ერისთავის სახლ-მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა დ. ქარჩაიძემ.

სიტყვები წარმოთქვეს პროფესორმა ს. ხუციშვილმა და პენსიონერმა ი. ჩიტაშვილმა. ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა მ. ვარდუაშვილმა და ლ. ტატიანეაშვილმა. ოძისობას დაესწრნენ დავით ერისთავის შვილიშვილები ელენე და დავით ერისთავები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.



გაკვშვები ჩვენს ირგვლივ



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

გ. გერსამია — „ჰედურობის ნორჩი ოსტატი“; **ზ. დათუაშვილი** — „სიხარული“; **გ. ახალაძე** — „ზღვაზე“.

ცნობილია, რომ ყოველი ენა წარმოადგენს მიკროკოსმს, რომელსაც თავისებური ცნებობრივი და ემოციონალური სამყარო გააჩნია. ერთ ენაში სიტყვის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელიც ნიშანთა სრულ კომპლექსს წარმოადგენს, არასდროს არ მეორდება სხვა, თუნდაც მონათესავე ენაში მთელი თავისი სემანტიკური შემადგენლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაპირისპირებელი სიტყვებისა და გამოთქმების ცნებობრივი კომპლექსები და განსაკუთრებით მათი ემოციონალური კონოტაციები მხოლოდ ერთი ენის განუმეორებელ საკუთრებას წარმოადგენს. მას, ვინც თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში მუშაობს, მართებს არა მარტო ღრმა ცოდნა შესაპირისპირებელი ენებისა, არამედ უნდა გააჩნდეს დიდი მეცნიერული ალღოც და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა ორენოვანი ლექსიკონი თანამედროვე აზროვნების დონეს შეუფარდოს.

მით უფრო რთულია და სპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს განმარტებითი ლექსიკონის შედგენა, მით უმეტეს, როდესაც ამგვარ ლექსიკონში ერთი და იგივე ენის ორი ვარიანტია შეპირისპირებული. მსგავს ნაირსახეობათა შეპირისპირებითი შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს თვითეული ვარიანტის როგორც სტრუქტურულ, ისე სემანტიკურ თავისებურებებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება გამოსაკვლევი ენის განვითარების ტენდენციების დადგენა, ენობრივი აზროვნების ფორმათა აღნუსხვა, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ახალი შინაარსობრივი ბეტეჯიანლის რეალიზაცია და მრავალი სხვა.

ამიტომ, უდავოდ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჩვენმა თანამემამულემ, თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის წევრმა გივი ზვიადაძემ 1972 წელს გამოაქვეყნა ინგლისურ ენაზე „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისური ენის შეპირისპირებითი ლექსიკონი“ (რედაქტორი ვენერა ურუშაძე), რომელიც რამდენადმე შევსებულად კვლავ გამოიცა ერთი წლის შემდეგ. აღსანიშნავია, ის, რომ ასეთი სახის ლექსიკონი პირველად გამოდის საბჭოთა კავშირში.

გ. ზვიადაძის ეს ლექსიკონი პოპულარულ მაგიდის წიგნად იქცა ინგლისური ენის სპეციალისტების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. იგი კარგ დახმარებას უწევს მათ მუშაობის პროცესში. ნაშრომმა დიდი რეზონანსი და მოწონება ჰპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც. მასზე დაიწერა და იწერება რეცენზიები ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერული ჟურნალებისათვის. ავტორი იღებს ცნობილ მეცნიერთა მრავალ აღფრთოვანებულ გამოხმაურებას შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან... საინტერესოა, გავეცნოთ ზოგიერთი მათგანის აზრს ქართველი მეცნიერის ამ ნაშრომზე. აი რას წერენ:

პროფესორი ალბერტ მარკუორდტი, მიჩიგანის უნივერსიტეტი (აშშ): თქვენი წიგნი ძვირფასი საცნობარო წყაროა, და პირადად მე დიდად მეხმარება მუშაობაში.

პროფესორი რეივენ მაკდავიდი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ): თქვენ ლექსიკონის მხოლოდ ნაწილის გაცნობა შეეძელი, მაგრამ ვგრძნობ, რომ უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს მისი საფუძვლიანი შესწავლა და მეტხმეტად გაზრდის ჩემ ცოდნას ამ დარგში.

ჯონ უოლი, ბოდლეიან ბიბლიოთეკის სლავური სექცია, ოქსფორდი (ინგლისი): თქვენი ბრწყინვალე თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ენის ლექსიკონი მე და ჩემს მეგობრებს უკვე ძალიან გამოგვადგა.

თამარ დრაგაძე, ბოდლეიან ბიბლიოთეკა, ოქსფორდი: ბატონ ჯონ უოლსა და მე თქვენი ლექსიკონი მეტად საინტერესო, ღირსეულ და ორიგინალურ ნაშრომად მიგვაჩნია, რისთვისაც თაყვანს გცემთ.

პროფესორი ჯონ ალგეო, ჟურნალ „ამერიკან სპიჩის“ რედაქტორი: ჯორჯ. რეივენ მაკდავიდმა მაცნობა, რომ თქვენი „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისური ენის ლექსიკონი“ დაგვაინტერესებდა სარეცენზიოდ „ამერიკან სპიჩისათვის“. ჩვენი ჟურნალის დავალებით მასზე რეცენზია დაწერა პროფესორმა ტომას პაიზლი.

პროფესორი ტომას პაიზლი, წიგნის რეცენზენტი, ფლორიდა (აშშ): ჩემი რეცენზია-კომპოზიცია ჟურნალ „ამერიკან სპიჩისათვის“ ეხება ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის სამ უახლოეს გამოკვლევას: უინსდორო ლუის „მოკლე წარმოთქმითი ლექსიკონი“ (ოქსფორდი, ინგლისი), ნორმან სკურის „ბრიტანული ინგლისურის თვითმასწავლებელი“ („ნიუ-იორკი“), და თქვენი ლექსიკონი. ძალიან მომწონს თქვენი წიგნი და მასში თითქმის ვერავითარ ნაკლს ვერ ვნახულობ. იგი საუკეთესოა ამ სამთა შორის. გაოცებული ვარ თანამედროვე ამერიკული მწერლობის თქვენი ცოდნის დონით, რომელიც ნამდვილად ბევრად აღემატება ჩემსას. მიიღეთ ჩემი მოლოცვა შესანიშნავი ნაშრომისათვის. ჩემი რეცენზიის დასკვნითი აბზაცია:

„გივი ზვიადაძეს და უნივერსიტეტს, რომლის პასუხისმგებლობითაც გამოვიდა ეს ნაშრომი, ძალიან კარგი სიტყვა. აქვთ იმისათვის, რომ იამაყონ ამ წიგნით. ჩემი აზრით, იგი იმის ღირსია, რომ ფართოდ დაინერგოს ინგლისური ენის მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე აღძრულია საკითხი ამ ნაშრომის გამოქვეყნებისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მ. იანქოფოვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა

გამარჯვება

საინტერესო და სასარგებლო წიგნი შექმნილ. ეს სოლიდური ნაშრომი მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ შესრულებულ იქნა ინგლისისა და ამერიკის უნასავად. არ ვიცი, წაიკითხეთ თუ არა სორბონელ პროფესორ გი ფორგთან ერთად ჩემი თანაავტორობით გამოცემული „ამერიკული ენა“. ფორგი მარტო ჩიკაგოში ორ ზაფხულს, ერთ ზამთარსა და გაზაფხულს მუშაობდა და ხელი მიუწვდებოდა ყველაფერ იმაზე, რაც თქვენთვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ განსაცვიფრებელია, რამდენი რამ გამორჩა მას თქვენთან შედარებით. მალე დავწერ რეცენზიას თქვენს წიგნზე „ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალისათვის“.

ელისაბეტ ბაუმანი, ვაშინგტონის „ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალის“ რეცენზიათა რედაქტორი: ეს მეტად საინტერესო წიგნია. ვგრნებ, შეიძლია დაგპირდეთ, რომ რეცენზია მასზე ჟურნალის მომავალი წლის ნომერში მოთავსდება.

ნორმან სკური, „ბრიტანული ინგლისური ენის თვითმასწავლებლის“ ავტორი (ნიუ-იორკი): თქვენი წიგნი საგანგებო ყურადღების ღირსია... განცვიფრებული ვარ იმით, რომ მეცნიერი, სრულიად მოწყვეტილი ამ ორ ქვეყანას, ასე დაინტერესებულა ჩვენი ენებით. მაკვირვებს, რამდენად ფართო შეიძლება იყოს ადამიანის ინტერესთა სფერო. ჩემი მუშაობის ძირითად დროს ამერიკასა და ბრიტანეთს კასმარ. მწერლობაში ვხოლოდ მოყვარული ვარ. თქვენთვის, ამ დარგის ასეთი ღრმა ცოდნით, ადვილი იყო იმის დანახვა, რომ ჩემი წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია ხალხისათვის და არა აკადემიური ხმარებისათვის. მართალია, თქვენი ლექსიკონის მხოლოდ ნაწილის გაცნობა შეეძელი, მაგრამ ვგრძნობ, რომ უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს მისი საფუძვლიანი შესწავლა და მეტხმეტად გაზრდის ჩემ ცოდნას ამ დარგში.

ჯონ ალგეო, ბოლოვიან ბიბლიოთეკის სლავური სექცია, ოქსფორდი (ინგლისი): თქვენი ბრწყინვალე თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ენის ლექსიკონი მე და ჩემს მეგობრებს უკვე ძალიან გამოგვადგა.

ალბერტ მარკუორდტი, მიჩიგანის უნივერსიტეტი (აშშ): თქვენი „ამერიკან სპიჩის“ რედაქტორი: ჯორჯ. რეივენ მაკდავიდმა მაცნობა, რომ თქვენი „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისური ენის ლექსიკონი“ ეხება ამერიკული ენის ფორგთან ერთად ჩემი თანაავტორობით გამოცემული „ამერიკული ენა“. ფორგი მარტო ჩიკაგოში ორ ზაფხულს, ერთ ზამთარსა და გაზაფხულს მუშაობდა და ხელი მიუწვდებოდა ყველაფერ იმაზე, რაც თქვენთვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ განსაცვიფრებელია, რამდენი რამ გამორჩა მას თქვენთან შედარებით. მალე დავწერ რეცენზიას თქვენს წიგნზე „ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალისათვის“.

ელისაბეტ ბაუმანი, ვაშინგტონის „ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალის“ რეცენზიათა რედაქტორი: ეს მეტად საინტერესო წიგნია. ვგრნებ, შეიძლია დაგპირდეთ, რომ რეცენზია მასზე ჟურნალის მომავალი წლის ნომერში მოთავსდება.

ნორმან სკური, „ბრიტანული ინგლისური ენის თვითმასწავლებლის“ ავტორი (ნიუ-იორკი): თქვენი წიგნი საგანგებო ყურადღების ღირსია... განცვიფრებული ვარ იმით, რომ მეცნიერი, სრულიად მოწყვეტილი ამ ორ ქვეყანას, ასე დაინტერესებულა ჩვენი ენებით. მაკვირვებს, რამდენად ფართო შეიძლება იყოს ადამიანის ინტერესთა სფერო. ჩემი მუშაობის ძირითად დროს ამერიკასა და ბრიტანეთს კასმარ. მწერლობაში ვხოლოდ მოყვარული ვარ. თქვენთვის, ამ დარგის ასეთი ღრმა ცოდნით, ადვილი იყო იმის დანახვა, რომ ჩემი წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია ხალხისათვის და არა აკადემიური ხმარებისათვის. მართალია, ოქსფორდ-ბოდლეიანის ბიბლიოთეკა ... ...